შპს „პერი“
ს.კ. 205080712
ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას IIკვ კორპ. №5

№01
25 მარტი 2014 წელი

მინდობილობა

შპს „პერი“ ანიჭებს უფლებამოსილებას გიორგი გოგავას (პ.ნ. 01024007590) იყოს მისი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ყველა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. ორგანოში, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიასა და მის სამსახურებში, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში და სხვა, შეაგროვოს და აიღოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და სხვა დოკუმენტები, ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან, ასევე საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირების, რეგისტრირებულ ფარგლებში ცვლილებების რეგისტრაციასა და ამონაწერების მიღების ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და მოქმედებს 2015 წლის 25 მარტამდე.

დირექტორი ლ. იორდანიშვილი